

დადგენილება 14/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე „ხელოვნება განათლებისათვის - მცირე გრანტების კონკურსი სახელოვნებო განათლებაში“ შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ.

დადგენილება № 14/2020

16 მარტი, 2020

დადგენილება 14/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე „ხელოვნება განათლებისათვის - მცირე გრანტების კონკურსი სახელოვნებო განათლებაში“ შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 მარტის N09 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე „ხელოვნება განათლებისათვის - მცირე გრანტების კონკურსი სახელოვნებო განათლებაში“ შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო კონკურსის შეფასებით შერჩეულ იქნა ქეთევან ბოლაშვილის პროექტი - XX საუკუნის მუსიკის ისტორია. ლექციები (მეორე ნაწილი).
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე